

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №122

2021 წ. 19 ოქტომბერი

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან გაერთიანებული)

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- მარიამ კვერნაძე

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარაბეულიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ". 12-03212663-03

2. ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.663) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონში, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146) და ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 8975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების (N1,N2,N3,N4,N5,N6,N7) (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.045) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

12-032126328-03

4. ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქ.თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-03212531-03

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ომარ სიზანიშვილის ქუჩა, N139-ში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.02.581) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

№12-032128814-03

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არქიინვესტს“ (ს/ნ 404954046) შორის 2018 წლის 6 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით

პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე. 12-032125923-03

7. „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP“-სთვის (ს/კ: 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 12-032128426-03

8. ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.014.005.01.516) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-032127712-03

9. “ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჯანიძის ქუჩა N18-ში მდებარე 58.92 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.061.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. N12-032127712-03

10. ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა კორპუს N11-ში მდებარე 68.18 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.004.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-032127712-03

11. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტალის კორპუს N21-ში მდებარე 68.48 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-032127712-03

12. ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032127364-03;12-032127713-03

13. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება 3-ის კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.067) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ 12-032127713-03

14. ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N28ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.12.010.006.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ 12-032127713-03

15. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მდებარე 83.37 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-032127712-03

16. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-032127711-03

17. ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.003.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032127713-03

18. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N37-ში მდებარე 45.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. N12-03212811-03

19. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-12-ში არსებული 57.74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.059.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. N12-03212811-03

20. “ქალაქ თბილისში,სოფელ ოქროყანაში, ბესიკის ქუჩა N9-ში მდებარე 62.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.056.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 12-03212811-03

21. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლების მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N21ა-სა და კორპუს N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ N12-032128425-03

22. ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N103-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.002.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. 12-032129128-03

23. ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. N54-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ: 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032127367-03

24. „ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N54-ის მიმდებარედ არსებული 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.03.009.020) ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბადაგონის სახლისთვის“ (ს/კ: 405293926) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. 12-032128423-03

25. „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N36-38-ის მიმდებარედ არსებული 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.05.009.026) ტერიტორიიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რუსთაველი 36“-ისთვის (ს/კ: 406190376) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. 12-032128424-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს:“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 1 350,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 350,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 228 326,9 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და მერიის ადმინისტრაციის წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 11 000,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 1 848,5 ათასი ლარით.

მცირდება საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) ქვეპროგრამის ასიგნება – 11 000,0 ათასი ლარით და პროგრამა ღონისძიებების უზრუნველყოფის ასიგნებები (კოდი 02 07) – 498,5 ათასი ლარით.

გარდა ამისა, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა, გაიზარდა 6 ერთეულით და შეადგენს 146 ერთეულს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 158 892,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 107 399,5 ათასი ლარის ოდენობით,

აქედან:

გადასახადები 696 579,5 ათასი ლარი, მათ შორის:

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 157 000,0 ათასი ლარი;

ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 19 000,0 ათასი ლარი;

მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი;

დამატებული დირებულების გადასახადი – 504 579,5 ათასი ლარი.

გრანტები 211 152,6 ათასი ლარი, მათ შორის:

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 692,6 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი;

კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი;

სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 35 000,0 ათასი ლარი. ო სხვა შემოსავლები 199 667,4 ათასი ლარი, მათ შორის:

შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31 000,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი;

სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი;

სანებართვო მოსაკრებელი - 11 500,0 ათასი ლარი;

სხვადასხვა შემოსავლები – 43 867,4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 228 326,9 ათასი

ლარით, მათ შორის:

ხარჯები განსაზღვრულია - 923 692,2 ათასი ლარი; ო არაფინანსური აქტივების ზრდა – 289 075,7 ათასი ლარი;

ო ვალდებულებების კლება – 15 559,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 183 707,3 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 237 725,7 ათას ლარს, მათ შორის:

არაფინანსური აქტივების ზრდა – 289 075,7 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება

– 51 350,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (69 577,4) ათას ლარს, მათ შორის:

ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2

ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (15 559,0) ათას ლარს, მათ შორის: –

ვალდებულებების კლება 15 559,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 018,4) ათასი ლარით.

ლევან ჟორჯლიანმა იკითხა: „ავტობუსების ინტეგრირებული სისტემის გენერირების შემდგომ 300 ერთეული სამარშრუტო საშუალების სუბსიდირების გათვალისწინებით, ხომ არ არის გაანგარიშებული რა ოდენობის თანხები უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნულისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში?“ გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ არსებული ვითარებით არ არის განსაზღვრული დაზუსტებული ოდენობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სრული საფინანსო შედეგი შესაძლებელია მიღებული იქნას მას შემდეგ, რაც სისტემა გავრცელდება სრულ შემადგენლობაზე.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.663) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ენ სი დი გლდანის“ (ს/ნ 405377890) დირექტორმა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ილია ვაკუას ქუჩა №113-ში არსებული 1081 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.171) გაცვლის ფორმით პრივატიზება.

კომპანია განცხადებაში განმარტავს, რომ შპს „ენ სი დი გლდანმა“ N01.11.10.013.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლება V მიკრო/რაიონი, კორპუსი 2-ის მიმდებარედ, შეიძინა ამხანაგობისაგან „ფანასკერტელის N6-ის მოპირდაპირედ“ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც თავის მხრივ აღნიშნული ქონება გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე და მასზე გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და კოეფიციენტი K2 განსაზღვრულია 6.2.-ით.

ამხანაგობას „ფანასკერტელის N6-ის მოპირდაპირედ“, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის შეთანხმებაზე, არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ შენობა-ნაგებობის განთავსების არეალზე, ვრცელდება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (შიდა კვარტალური/ურბანული გამწვანება) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილით მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება და ასევე, ჯანსაღი მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ კომპანიამ შეიძინა N01.11.10.013.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რომელზეც არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის ბრძანებით შეთანხმებული იყო მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) და შემდგომში, ტერიტორიაზე შიდა კვარტალური/ურბანული გამწვანების გავრცელებით უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ფარგლებში დასაშვები სახეობების მიხედვით შეიზღუდა.

ვინაიდან, დღეისათვის დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი, სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა და შენარჩუნება, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება. შესაბამისად, სააგენტოს მიერ შპს „ენ სი დი გლდანისთვის“ (ს/ნ 405377890) უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნით, შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებული 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.663).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, ილია ვაკუას ქუჩა №113-ში არსებული 1081 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.10.013.171) მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსაც შესაძლებლად მიაჩნია N01.72.14.009.663 საკადასტრო ერთეულის განკარგვა (სანაცვლოდ გადაცემა) და მისი შემდგომში სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „ენ სი დი გლდანის“ საკუთრებაში არსებული N01.11.10.013.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 1840943 ლარის ოდენობით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.72.14.009.663 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 1868000 ლარი. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.72.14.009.663 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 27057

ლარით აღემატება შპს „ენ სი დი გლდანის“ (ს/ნ 405377890) საკუთრებაში არსებულ N01.11.10.013.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას. თუმცა კომპანია თანხმობას აცხადებს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის (ფასთა შორის სხვაობის) 27100 ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუგუბიდის მე-4 მიკრო/რაიონში, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146) და ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 8975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების (N1,N2,N3,N4,N5,N6,N7) (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.045) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „აფხაძეთი“ს (ს/ნ 249251072) წარმომადგენელმა, მომართა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული, კოსტავას და ტყვარჩელის ქუჩებს შორის მდებარე 1700 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.10.13.040.122) გაცვლის ფორმით პრივატიზება.

კომპანია განცხადებაში აღნიშნავს, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.13.040.122) ვრცელდებოდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შპს „აფხაზეთი“-ს წარმომადგენელმა (ს/ნ: 249251072) ითხოვა ზონის ცვლილება, მაგრამ მისი მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული, ხოლო დედაქალაქის ახალი გენ.გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №01.10.13.040.122) ფაქტობრივად წარმოდგენს საერთო სარგებლობისათვის განკუთვნილ სივრცეს/სკვერს და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მასზე სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნება და სამომავლოდ საერთო სარგებლობისათვის გამოყენება.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე შპს „აფხაზეთის“ (ს/ნ: 249251072) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კოსტავასა და ტყვარჩელის ქუჩებს შორის არსებული 1 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.040.122) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, კომპანიისთვის შეთავაზებული იქნა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუგუბიდის მე-4 მიკრო/რაიონში, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146) და ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 8975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების (N1,N2,N3,N4,N5,N6,N7) (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.045) გაცვლის ფორმით პრივატიზება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია. ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, რომლის მიხედვით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია N01.14.16.008.146 და N01.14.16.008.045 საკადასტრო ერთეულების განკარგვა (გაცვლის ფორმით). მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, შპს „აფხაზეთის“ (ს/ნ: 249251072) საკუთრებაში არსებული 01.10.13.040.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 5 460 400 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.146 და N01.14.16.008.045) ჯამურმა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 5 477 350 ლარი. ვინაიდან მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება შპს „აფხაზეთის“ (ს/ნ: 249251072) საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულებას, კომპანია თანხმობას აცხადებს გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური აღნიშნული სხვაობის არანაკლები ოდენობით. შესაბამისად მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 17 000 ლარი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქ.თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შპს „მთვარის გლობუს“მა 2018 წელს მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით, სადაც აღნიშნავდა, რომ N01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეიძინა სამშენებლო განვითარების პერსპექტივით, თუმცა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ ფუნქციური ზონირების შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა2 (რზ-2), რის გამოც კომპანიას შეუზღუდა გეგმები ტერიტორიაზე სხვადასხვა ბიზნეს პროექტის განხორციელების თაობაზე. კომპანიამ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის შესაბამისად მოაწყო სპორტული მოედანი.

როგორც მარიამ კვერნაძემ განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, კომპანიას უარი ეთქვა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის თაობაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე კომპანიამ ითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დავით გურამიძეის ჩიხი, №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) გაცვლის ფორმით პრივატიზება. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი და სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა, ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნულ უძრავ ქონებაზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება. ყოველივე აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ შპს „მთვარის გლობუსის“ათვის უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნით, შეთავაზებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659), რაზედაც კომპანიამ წერილობით თანხმობა განაცხადა.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ითხოვს თანხმობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 სექტემბრის N21.1219.1391 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქ.თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, პრივატიზებაზე შპს „მთვარის გლობუსის“ (ს/ნ 200021270) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით გურამიძეის ჩიხი, №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, შემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პოზიცია. ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, რომლის მიხედვით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია N01.72.14.009.659 საკადასტრო ერთეულის განკარგვა (სანაცვლოდ გადაცემა). მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, შპს „მთვარის გლობუსის“ (ს/ნ 200021270) საკუთრებაში არსებული 01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 3 283 659 ლარის ოდენობით, ხოლო

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.659) საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 3 283 000 ლარი. ვინაიდან შპს „მთვარის გლობუსის“ (ს/ნ 200021270) საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულებას, გაცვლა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N139-ში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.02.581) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა წერილობით მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, სადაც აღნიშნულია რომ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების პენიტენციური სამსახურის №8 პენიტენციური დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, დაწესებულების გამართულად ფუნქციონირების მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N72.13.02.413) განთავსებულია N8 დაწესებულების საგუშაგო ბლოკპოსტი, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას(მესაკუთრე სესილი საათაშვილი (პ/ნ 59001061340). მესაკუთრის მიერ მოთხოვნილია ბლოკპოსტის გაუქმება, ვინაიდან აღნიშნული ზღუდავს მის თავისუფალ გადაადგილებას, სამომავლოდ მცირე ზომის სასტუმროს მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი ითხოვს საკითხის გადაჭრას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის N21.1429.1586 განკარგულებით წარმოდგენილია ქ. თბილისში ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N139- ში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთში (ს/კ N72.13.02.581) გაცვლის ფორმით პრივატიზება.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სესილი საათაშვილის (პ/ნ: 59001061340) საკუთრებაში არსებული N72.13.02.413 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 71,100 ლარის ოდენობით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N72.13.02.581 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 71,100 ლარი. გაცვლა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არქიინვესტს“ (ს/ნ 404954046) შორის 2018 წლის 6 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არქიინვესტს“ (ს/ნ 404954046) შორის 2018 წლის 6 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტალის №9ა და №9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.03.022.003), იმ პირობით, რომ მყიდველი ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცემდა ქ.თბილისში, მაყაშვილის ქ. მე-2 ჩიხი N2/ქ.თბილისში, მაყაშვილის ქ. I ჩიხი N4-ში მდებარე 480 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებს: N1, N2, N3 (ნანგრევი), N4 (ნანგრევი) (საკადასტრო კოდი: N01.15.02.038.049).

ხელშეკრულების 5.9 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების ტერიტორიის სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიამ განცხადებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული პირობის/ვალდებულების გაუქმება, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, კომპანიის მიერ წარდგენილი საპრივატიზებო ობიექტის გამწვანების პროექტი დამტკიცებულია, რაც გულისხმობს იმას, რომ ტერიტორია განვითარდება, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში, შესათანხმებელი პროექტი თავის მხრივ მოიცავს გამწვანების პროექტსაც და მშენებლობის პროცესისა და მისი დასრულების შემდგომ ობიექტის საპროექტო ნორმებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს აქვს სოციალური დატვირთვა, რადგან ვაჟა-ფშაველას II კვარტალის მე-9 კორპუსის მობინადრეები (დაახლოებით 40 ოჯახი) ცხოვრობენ საცხოვრებლად უვარგის, ავარიულ კორპუსში, რომელთა ახალი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კისრულობს კომპანია შპს „არქიტექსტი“. რეგისტრირებული შეზღუდვა კი, აფერხებს მშენებლობის პროცესის სრულფასოვნად და სწრაფად წარმართვის პროცესს და ასევე, წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვასა და საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობაში.

მარიამ კვერნაძემ მოხსენებით, 2017 წლის 7 აგვისტოს შპს „კომპაუნდის“ (ს/ნ 202385169) N959-ქ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნაში, N01.14.03.022.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეფასებულია აღნიშნული ვალდებულების - „ტერიტორიის სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა“ გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, კომპანია თავისუფლდება N01.14.03.022.003 საკადასტრო ერთეულის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის (ტერიტორიის სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა) გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობებს, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით გადახდის ვალდებულებისაგან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP“-სთვის (ს/კ: 404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

